

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის
N21 ოთახზე, მოქალაქე ზურაბი კუპაგაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N21 ოთახში მცხოვრები მოქალაქე ზურაბი კუპაგაძის განცხადება /2012 წლის 27.08 Nკ-7042/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ოთახზე /ძღვარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლი N21 ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N21 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზურაბი კუპაგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N21 ოთახზე /საერთო ფართობი 24,64 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 24,64 კვ.მ, საერთო სარგებლობის ფართობი 4,48 კვ.მ./ მოქალაქე ზურაბი კუპაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ა.ძოწენიძე